<u>დანართი N1</u>

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლების შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლების შეფასების წესი (შემდგომში - წესი) ადგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასებისა და კრედიტქულების მინიჭების პირობებს.

მუხლი 2. აქტივობების შეფასება და კრედიტქულების მინიჭება

1. მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები ფასდება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი პორტფოლიოს საფუძველზე.

2. ამ წესის საფუძველზე შეფასდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ (შემდგომში - სქემა) ამოქმედებამდე წარმატებით განხორციელებული აქტივობები.

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები სქემის მიზნებისათვის შეფასდება, როგორც დამატებითი აქტივობები.

მუხლი 3. კომისიების შექმნა და შემადგენლობა

1. ცენტრის დირექტორი ბრძანებით ქმნის კომისიებს, განსაზღვრავს მათ სამოქმედო ტერიტორიას და ამტკიცებს დებულებებს.

2. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისგან.

მუხლი 4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლის რეგისტრაცია

1. ცენტრი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულ მასწავლებელთა რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას განათავსებს ვებ-გვერდზე www.tpdc.ge, აგრეთვე - ადგილობრივ რესურსცენტრში.

2. ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია რეგისტრაციის შესახებ უნდა შეიცავდეს შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალსა და განაცხადის ფორმას.

3. რეგისტრაციის მიზნით მასწავლებელი შევსებულ განაცხადს (დანართი N3) და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლის გეგმას (შემდგომში - გეგმა) წარადგენს ადგილობრივ რესურსცენტრში.

4. გეგმის საფუძველზე მასწავლებლის მიერ განხორციელებულ აქტივობებს ადასტურებს სკოლის დირექტორი ხელმოწერით.

მუხლი 5. შეფასების პროცესის ეტაპები და ვადები

შეფასების პროცესი განხორციელდება შემდეგ ეტაპებად და ვადებში:

ა) 20 აგვისტო - 11 სექტემბერი - მასწავლებელთა მიერ რესურსცენტრებში განაცხადის შევსება და განხორციელებული გეგმის წარდგენა;

ბ) 20 აგვისტო - 21 სექტემბერი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში - eSchool) განაცხადის და დოკუმენტაციის ატვირთვა;

გ) 28 სექტემბერი - 13 ნოემბერი - კომისიების მიერ მასწავლებელთა შეფასება;

დ) 16 - 20 ნოემბერი - მასწავლებლებისათვის კომისიების გადაწყვეტილების გაცნობა;

ე) 24 ნოემბერი - 4 დეკემბერი - კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება საპრეტენზიო კომისიაში;

ვ) 7 – 18 დეკემბერი - საპრეტენზიო კომისიის მიერ განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

ზ) 21-23 დეკემბერი - ცენტრის დირექტორისათვის შეფასების შედეგების წარდგენა;

თ) 24 დეკემბერი – 28 დეკემბერი - საბოლოო შედეგების დამტკიცება.

მუხლი 6. მასწავლებლის მიერ დოკუმენტაციის წარდგენის წესი

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლების მიერ განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (შემდგომში - დოკუმენტაცია) ატვირთვა ხორციელდება eSchool-ში გამოყოფილ სპეციალურ ვირტუალურ სივრცეში იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც მასწავლებელი დასაქმებულია რეგისტრაციის მომენტისათვის.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმირების მიზნით ცენტრი ვალდებულია, შეიმუშაოს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გაავრცელოს დოკუმენტაციის eSchool-ში ატვირთვის ინსტრუქცია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განთავსებულ დოკუმენტაციას შეფასების მიზნით ჩამოტვირთავს ცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მუხლი 7. აქტივობების შეფასების წესი

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეფასდება მასწავლებლის კომპეტენციები ოთხი მიმართულებით:

ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა - 3 კრ/ქ

ბ) სასწავლო რესურსის შექმნა - 1ვ/ქ

გ) პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა - 2 კრ/ქ

დ) საკუთარი პროფესიული საქმიანობის კვლევა (მხოლოდ სერტიფიცირებული დოქტორის ხარისხის მქონე მასწავლებლის მიერ) – 4 კრ/ქ

2. თითოეული მიმართულება შეფასდება შემდეგი აქტივობებით:

ა) სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის მიმართულებით მასწავლებელი წარმოადგენს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს:

ა.ა) საგანმანათლებლო პროექტი;

ა.ბ) ინტეგრირებული გაკვეთილი;

ა.გ) სსსმ მოსწავლესთან მუშაობა;

ა.დ) სასწავლო პროცესის პრაქტიკული კვლევა.

ბ) სასწავლო რესურსის შექმნის მიმართულებით მასწავლებელი წარმოადგენს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს:

ბ.ა) 2 (ორი) სასწავლო-მეთოდოლოგიური სტატია;

ბ.ბ) სახელმძღვანელოს ავტორობა /თანაავტორობა;

ბ.გ) მასწავლებლის შექმნილი სასწავლო ციფრული ობიექტები, ისტ-ის ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების მაგალითი.

გ) პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მიმართულებით აუცილებელია პროფესიული განვითარების გეგმისა და რეფლექსიის, აგრეთვე, ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის წარმოდგენა:

გ.ა) აკრედიტებულ ტრენინგებზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ.ბ) სტაჟირების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ.გ) კონფერენციებზე მომხსენებლად გამოსვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ.დ) ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით კათედრაზე თემის წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2[1]. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“, „გ.ბ“ და „გ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენა არ არის სავალდებულო ცენტრის მიერ ჩატარებული აკრედიტებული ტრენინგების, სტაჟირებისა და კონფერენციების შემთხვევაში.

3. კონკრეტული აქტივობები შეფასდება ცხრილში ჩამოთვლილი დადასტურების ინსტრუმენტების მიხედვით, წინასწარ განსაზღვრული კრედიტქულებით:

სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა - 3 კრ/ქ	
აქტივობა	**დადასტურების ინსტრუმენტი**
ინტეგრირებული გაკვეთილი	- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა - გაკვეთილის რეფლექსია
საგანმანათლებლო პროექტის ავტორობა	- საგანმანათლებლო პროექტის გეგმა - პროექტის რეფლექსია
სსსმ მოსწავლესთან მუშაობა	- ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა - მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება
პროფესიული საქმიანობის კვლევა	- კვლევის ანგარიში
სასწავლო რესურსის შექმნა - 1 კრ/ქ	
აქტივობა	**დადასტურების ინსტრუმენტი**
2 სასწავლო-მეთოდოლოგიური სტატია	- სტატიის პირველი და ბოლო გვერდების დასკანერებული ორიგინალები (უნდა ადასტურებდეს ავტორობას და აჩვენებდეს გამოყენებულ ლიტერატურას) - რეცენზიის არსებობის შემთხვევაში, რეცენზია - ელ.ჟურნალში გვერდის ელ.მისამართის მითითება
სახელმძღვანელოს ავტორობა /თანაავტორობა	- ცნობა გრიფირების შესახებ შესაბამისი ინსტიტუციიდან - აკადემიური გამომცემლობის მიერ დადასტურება და რეცენზია
მასწავლებელი ქმნის სასწავლო ციფრულ	- ელექტრონული სასწავლო ციფრული ობიექტის ელ.მისამართი

ობიექტებს, იყენებს ისტ ტექნოლოგიებს	- ელექტრონული სასწავლო ციფრული ობიექტის რეფლექსიის კითხვარი
პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა - 2 კრ/ქ	
აქტივობა	**დადასტურების ინსტრუმენტი**
ტრენინგი	დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ცნობა
სტაჟირება	დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ცნობა
კონფერენციები, სემინარები	დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ცნობა
თემის წარდგენა კათედრაზე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით	- აქტივობის რეფლექსია კითხვარის გამოყენებით - აქტივობის განხორციელების დადასტურება დირექტორისა და კათედრის გამგის მიერ.
საკუთარი პროფესიული საქმიანობის კვლევა - 4 კრ/ქ	
აქტივობა	**დადასტურების ინსტრუმენტი**
პროფესიული საქმიანობის კვლევა	- კვლევის ანგარიში

მუხლი 8. შეფასების შედეგების გაცნობა და კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. კომისია ამ წესის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში უგზავნის მასწავლებელს შეტყობინებას შეფასების შედეგებისა და კრედიტქულების მინიჭების შესახებ.

2. მასწავლებელი, რომელსაც ეცნობა კომისიის გადაწყვეტილების შესახებ, უფლებამოსილია, კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს ცენტრის დირექტორთან ამ წესის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში.

მუხლი 9. საპრეტენზიო კომისია

1. ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში ცენტრის დირექტორი ბრძანებით ქმნის საპრეტენზიო კომისიას და განსაზღვრავს მის შემადგენლობას.

2. საპრეტენზიო კომისია განაცხადს განიხილავს და შედეგებს ცენტრის დირექტორს წარუდგენს ამ წესის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში.

მუხლი 10. საბოლოო შედეგების დამტკიცება

1. მასწავლებლისათვის კრედიქტულების მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი, რაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

2. დირექტორის ბრძანება საჩივრდება მხოლოდ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.